

ვიქტორი ფრანკლი

ვეთხრათ
სიცოცხდეს
„დიან“!

ფსიქოლოგი საკონცენტრაციო ბანაკში

ვიქტორ ფრანკლი
ჰუთხრათი სიცოცხლეს „ღიას“!
ფსიქოლოგი საკონცენტრაციო ბანაკში

Victor E. Frankl
... TROTZDEM JA ZUM LEBEN SAGEN
Ein Psychologe erlebt das Konzentrationslager

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ



მწერალთა
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© 1977 by Viktor E. Frankl
© Kösel-Verlag, a division of Penguin Random House Verlagsgruppe GmbH,
München, Germany.
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-747-3

www.diogene.ge

სარჩევი

ფსიქოლოგი საკონცენტრაციო ბანაკში	7
სინქრონიზაცია ბირკენვალდში	II2

ფსიქოლოგი საკონცენტრაციო პანაკში

ედვინება გარდაცვლილ დედას

ფსიქოლოგი საკონცენტრაციო ბანაკში

საკონცენტრაციო ბანაკის უცნობი ტყვე

„ფსიქოლოგი საკონცენტრაციო ბანაკში“ – ეს უფრო ბანაკში განცდილის აღწერის მცდელობაა და არა ფაქტების გადმოცემის; ეს ათასობით ადამიანის განცდებია – „შიგნიდან“ დანახული საკონცენტრაციო ბანაკი, იმ ადამიანის თვალით დანახული, რომელმაც თვითონ გამოსცადა ეს ყველაფერი. არ ვილაპარაკებ იმ კომმარზე, რომელზეც უკვე უთვალავჯერ დაწერილა (იმდენად წარმოუდგენელზე, რომ ხშირად მსმენელებს არც კი სჯეროდათ), უფრო „პატარა“ ტანჯვას შევხები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ვეცდები, გავცე პასუხი კითხვას: როგორ აისახა საშუალო ტყვის სულზე საკონცენტრაციო ბანაკის ყოველდღიური ტანჯვა.

დასაწყისშივე, მინდა, გითხრათ, რომ მოვლენები, რომლებზეც აქ ნაიკითხავთ, დიდ, ცნობილ ბანაკებში კი არ ხდებოდა, არამედ მათ ფილიალებსა და განყოფილებებში. ცნობილია, რომ სიკვდილის ბანაკები სწორედ ეს პატარა ბანაკები იყო. აქ ვერ შეხვდებით გმირებისა და მოწამეების ტანჯვასა და სიკვდილს, აქ უფრო დიდი მასის „პატარა“ სიკვდილსა და „პატარა“ მსხვერპლზე ვილაპარაკებ. არ შევხები იმას, რის გადატანა მოუწია ან რას ჰყვებოდა რომელიმე ტყვე, წლების მანძილზე კაპოს ფუნქციას რომ ასრულებდა ან რომელიმე პრივილეგირებული ტყვე. აქ ბანაკის „უსახელო“ ტყვეების ტანჯვაზე ვილაპარაკებ, იმ „უსახელო“ ტყვეზე, სამკლა-

ვური რომ არ ეკეთა და კაპოები ზემოდან უყურებდნენ. როცა ის შიმშილისგან კვდებოდა, ზოგიერთი კაპო გაცილებით უკეთეს პირობებში იყო – ყოველ შემთხვევაში, კვების თვალსაზრისით – ვიდრე მანამდე, წინა ცხოვრებაში. ფსიქოლოგიურად კაპოს ეს ტიპი უფრო ესესელებს ან ბანაკის გუშაგებს უნდა გავუტოლოთ და არა ტყვეებს, რადგან ფსიქოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით ასიმილაცია სწორედ მათთან შეძლეს და მათთან თანამშრომლობდნენ. ხშირად კაპოები ბანაკის მცველებზე უფრო მეტი სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ჩვეულებრივ ტყვეებს ესესელებზე მეტ ტანჯვას აყენებდნენ და უფრო ხშირად სცემდნენ. კაპოდ ისეთ ტყვეს ირჩევდნენ, ვინც ამისთვის გამოდგებოდა და თუ ის მონდომებას არ გამოიჩინდა, ამ საქმეს მალევე ჩამოაშორებდნენ.

აქტიური და პასიური შერჩევა

იმას, ვინც საკონცენტრაციო ბანაკში არ ყოფილა, ჩვეულებრივ, მცდარი წარმოდგენა ექმნება ბანაკის ცხოვრებაზე, რადგან სენტიმენტალური სურათი, რომელსაც თავისი ფანტაზიით ხატავს, ერთგვარად არბილებს და უწყინარს ხდის იქაურ ვითარებას. ის ვერც კი წარმოიდგენს იმ სასტიკ ბრძოლებს, რომლებიც ტყვეებს შორის იმართებოდა ყოველდღიური ლუკმაპურისთვის, საკუთარი თავისა თუ ახლობელი ადამიანის გადასარჩენად, განსაკუთრებით პატარა ბანაკებში. მაგალითად, უახლოეს მომავალში ტყვეთა გარკვეული რაოდენობა ეშელონით თითქოს რომელიღაც სხვა ბანაკში უნდა გადაიყვანონ. ყველა ხვდება, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ეს ეგრეთ წოდებული მორიგი სელექციაა, ავადმყოფი და დასუსტებული ტყვეების განადგურება, მაშასადამე, მუშაობისთვის გამოუსადეგარ ტყვეებს დიდ ბანაკებში მონყობილ გაზის კამერებსა

და კრემატორიუმებში აგზავნიან. ამ წუთიდან იწყება ჯგუფებსა და დაჯგუფებებს შორის ბრძოლა – ყველა ყველას წინააღმდეგ. ყველა ცდილობს საკუთარი სიცოცხლის ან ახლობლის დაცვას, გასაგზავნთა სიიდან ბოლო წუთს გაქრობას; და ყველას კარგად ესმის, რომ, თუ ამჯერად თვითონ გადარჩა, მის ნაცვლად ეშელონში ვინმე სხვა აღმოჩნდება. ეშელონის შესავსებად ტყვეთა გარკვეული რაოდენობაა საჭირო, თითოეული ტყვე კი მხოლოდ ნომერს წარმოადგენს – გასაგზავნთა სიაში მხოლოდ ნომრებია. ბანაკში, მაგალითად აუშვიცში, მოხვედრისთანავე ტყვეს ყველაფერს ართმევენ, მას საბუთებიც აღარ გააჩნია და ამიტომ ნებისმიერი სახელის ან პროფესიის მითვისება შეუძლია; ეს შესაძლებლობაა, რომლითაც ის გარკვეულ პირობებში სარგებლობს კიდეც. ის, რაც უდავოა (უმრავლეს შემთხვევაში, სვირინგი) და ბანაკის ხელმძღვანელობას აინტერესებს, ტყვის ნომერია. არც ერთ ზედამხედველსა თუ გუშაგს, როცა მას ტყვე სიაში უმეტესად „სიზარმაცის“ გამო შეჰყავს, აზრად არ მოსდის, გვარი იკითხოს; ის მხოლოდ ნომერს უყურებს, რომელიც ყველა ტყვეს უნდა ჰქონდეს მიკერებული შარვალზე, ხალათზე ან პალტოზე და მას ინიშნავს (ეს კი თავისი შედეგებით ერთობ საშიშია).

დავუბრუნდეთ ტრანსპორტირების ზემოთ ხსენებულ შემთხვევას! ამ ვითარებაში ტყვეს აბსტრაქტულ-მორალური განსჯის არც დრო აქვს და არც სურვილი. ყველა ერთადერთ საფიქრალს შეუპყრია: გადარჩეს ოჯახის გამო, რომელიც მას ელოდება, ან დაიცვას რომელიმე ტყვის სიცოცხლე, ვისთანაც ის რალაციითაა დაკავშირებული. ამიტომ დაუფიქრებლად ეცდება ეშელონში რომელიმე სხვა „ნომრის“ ჩასმას.

ზემოთ ნათქვამიდან ნათელია, რომ კაპო ნეგატიური შერჩევის შედეგად ინიშნება: ამ პოსტზე ყველაზე სასტიკი ადამიანი თუ გამოდგება, თუმცა, საბედნიეროდ, გამონაკლისებიც არსებობდა. მაგრამ ესესელების მიერ, ასე ვთქვათ, აქტიური შერჩევის გარდა, არსებობდა პასიური შერჩევა: იმ ტყვეებისგან, რომლებმაც

წლები გაატარეს ბანაკებში, ერთი ბანაკიდან მეორეში გადაჰყავდათ და საბოლოოდ, ათობით ბანაკი მაინც გამოიარეს, გადარჩენის შესაძლებლობა მხოლოდ იმათ ჰქონდათ, რომლებიც არსებობისთვის ბრძოლაში სრულიად კარგავდნენ სინდისს, არც ძალადობაზე ამბობდნენ უარს და მეტიც, ამხანაგს უკანასკნელს ჰპარავდნენ. ჩვენ, ვინც ათასობით ბედნიერი შემთხვევისა თუ ღვთის წყალობით – ისე დაარქვით, როგორც გენებოთ – გადავრჩით, კარგად ვიცით და შეგვიძლია, დარწმუნებით ვთქვათ: *საუკეთესოები არ დაბრუნებულან.*

ტყვე ნომერი 119104-ის მოხსენება: ფსიქოლოგიური მცდელობა

„ნომერი“ 119104-ის მცდელობას, აღწეროს ის, რაც საკონცენტრაციო ბანაკში გამოსცადა, „როგორც ფსიქოლოგმა“, ის შენიშვნაც უნდა დავუროთ, რომ მას ბანაკში არათუ ფსიქოლოგად, არამედ, იქ ყოფნის ბოლო კვირების გამოკლებით, ექიმიდაც კი არ უმუშავია. აქ არ შევხვები იმას, რაც პირადად მან განიცადა; ეს ბანაკში რიგითი პატიმრის ცხოვრების აღწერის მცდელობაა. სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ მე სწორედ ასეთი „რიგითი“ ტყვე ვიყავი – ნომერი 119104. ძირითადად მინის სამუშაოებზე ვიყავი გამწვანებული, ვმუშაობდი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზეც. იმ დროს, როცა ჩემს ზოგიერთ კოლეგას ბედმა გაუღიმა და სახელდახელოდ მოწყობილ, ასე თუ ისე გამთბარ ამბულატორიებში ქალაქის ნარჩენებისგან სახვევებს ამზადებდნენ, მე ერთხელ სრულიად მარტო (წყლის მიღებისთვის) გვირავს ვთხრიდი. უნდა გითხრათ, რომ ეს ჩემთვის სულაც არ იყო უმნიშვნელო, რადგან შრომითი „მიღწევებისთვის“ 1944 წელს, შობამდე რამდენიმე დღით ადრე, ორი ე. წ. საპრემიო ტალონი მივიღე. ამ ტალონებს სამშენებლო ფირმა გასცემდა, რო-

მელსაც ბანაკმა მონებად – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – მიგვყიდა (ფირმა ბანაკის ხელმძღვანელობას ამაში ყოველდღიურად გარკვეულ თანხას უხდოდა); საპრემიო ტალონი ფირმას ორმოცდაათი პფენინგი უჯდებოდა, რომელიც კვირების შემდეგ ბანაკში ექვსი სიგარეტის სახით დამიბრუნდა. ასე გავხდი თორმეტი სიგარეტის მფლობელი! ეს კი მთელი ქონება იყო. თორმეტი სიგარეტი თორმეტ ულუფა წვნიანს ნიშნავდა, თორმეტი ულუფა წვნიანი კი – შიმშილისგან ხსნას, ყოველ შემთხვევაში, ორი კვირით მაინც სიკვდილის გადავადებას. სიგარეტის მოწვევის ფუფუნება კაპოს თუ ჰქონდა, რომელსაც ყოველკვირეული საპრემიო ტალონი გარანტირებულად ერგებოდა, ან ტყვეს, ბანაკის სახელოსნოში ან სანყოფში რომ მუშაობდა და გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ ჯილდოდ სიგარეტს იღებდა. დანარჩენები დამატებითი, სიცოცხლისთვის სახიფათო სამუშაოს ფასად მოპოვებულ სიგარეტებს საკვებში ცვლიდნენ, თუ, რა თქმა უნდა, სიცოცხლის იმედი არ დაეკარგათ, თავიანთ მდგომარეობას სრულიად უიმედოდ არ მიიჩნევდნენ და დარჩენილი ბოლო დღეებით „ტკბობა“ არ განეზრახათ: როცა რომელიმე ჩვენი ამხანაგი მოწვევას იწყებდა, ვხვდებოდით, რომ სიცოცხლის იმედი აღარ ჰქონდა – და ასეც იყო.

ახლა კი თავად წიგნის სათაურის შესახებ: რა არის ამ წიგნის დანიშნულება. საკონცენტრაციო ბანაკებზე ხომ უამრავი ფაქტობრივი მასალა გამოქვეყნდა. ამ წიგნში ფაქტებს იმდენად ეთმობა ყურადღება, რამდენადაც მინდოდა, მეჩვენებინა, როგორ აისახა ისინი პატიმრის სულიერ ცხოვრებაზე; ფსიქოლოგიური მცდელობები ეძღვნება განცდას, როგორც ასეთს. ამ წიგნს ორმაგი დანიშნულება აქვს, იმისდა მიხედვით, ვინ კითხულობს მას: ის, ვინც თვითონ გამოიარა ბანაკი თუ ის, ვისაც ეს გამოცდილება არ აქვს. პირველი ჯგუფის მკითხველისთვის წიგნი განცდილის მეცნიერული განმარტების მცდელობა იქნება; მეორე ჯგუფის მკითხველისთვის კი გასაგები უნდა გავხადო ის, რაც პირველისთვის განმარტებას მოითხოვს; ანუ გარეშე პირსაც უნდა გავაგებინო ის, რაც

ტყვემ გადაიტანა და განიცადა. გადარჩენილთა რიცხვი უკიდურესად მცირეა, მაგრამ მთავარია, რომ მათი ფსიქოლოგია, მათი თავისებურებები, რომლებმაც ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულებები ძირეულად შეცვალა, ამ ჯგუფის მკითხველისთვის გასაგები გაეხადო, თორემ მათთვის ეს სრულიად გაუგებარი დარჩება; ყოფილი ტყვეებისგან ხშირად გაგვიგია: „ჩვენს განცდებზე ლაპარაკი არ გვიყვარს: ვინც თვითონ იყო ბანაკში, არაფრის ახსნა არ სჭირდება; ვინც არ ყოფილა, მაინც ვერ მიხვდება, რას ნიშნავდა ეს ჩვენთვის მაშინ და რას ნიშნავს ახლა“.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ ტიპის ფსიქოლოგიური მცდელობა გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. ფსიქოლოგიურ დაკვირვებას მეცნიერული დისტანცია სჭირდება. აქვს კი ფსიქოლოგ-ტყვეს განცდასთან, რომელზეც შესაბამისი დაკვირვებები უნდა აწარმოოს და აღწეროს, საერთოდ დისტანცია? ასეთი დისტანცია, შესაძლოა, გარეშე დამკვირვებელს ჰქონდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის იმდენად დიდია, დამკვირვებელი კი იმდენად შორს დგას მოვლენათა მდინარებისგან, რომ საეჭვოა, რამე ღირებულის თქმა შეძლოს. „შუაგულში“ მყოფისთვის, შესაძლოა, დისტანცია მეტისმეტად მცირე იყოს საიმისოდ, რომ ობიექტური განსჯა შეძლოს, მაგრამ ამ განცდათა მთელი სიმძაფრის გაგება მხოლოდ მას შეუძლია. ცხადია, შესაძლებელია, უფრო მეტიც, სრულიად დასაშვები და მოსალოდნელიც კია, რომ თავად მისი განსჯაც დამახინჯებული იყოს. მთავარი სხვა რამეა: მოვლენათა აღწერის მცდელობისას შეძლებისდაგვარად გამოვაცალკევოთ პერსონალური, ხოლო იქ, სადაც საჭიროა, გაბედულები ვიყოთ და პირადი განცდები გამოვხატოთ. რადგან ფსიქოლოგიური კვლევების საფრთხე ის კი არ არის, რომ ამ კვლევებმა, შეიძლება, პერსონალური შეფერილობა შეიძინოს, არამედ მათი შესაძლო ტენდენციურობა. ამიტომ სიამოვნებით ვანდობდი ამ ტექსტს ვინმეს, ვინც მას პიროვნული განცდებისგან გაფილტრავდა და მიღებული ექსტრაქტიდან ობიექტური თეორიები ჩამოყალიბებდა.

ფსიქოლოგიური თეორიები, რომელთა განხილვასაც აქ ვაპირებ, თავის წვლილს შეიტანს ტყვეობის ფსიქოლოგიის, კერძოდ ფსიქოპათოლოგიის, განვითარებაში. პირველი მსოფლიო ომის შედეგად უამრავი მასალა დაგროვდა და „მავთულხლართების ავადმყოფობაც“ (barbed wire disease), ის მწვავე ფსიქოლოგიური რეაქცია, რომელიც სამხედრო ტყვეებს აღენიშნებათ, ცნობილი სწორედ ამ დროიდან გახდა. მეორე მსოფლიო ომმა – თუ ლე ბონის ცნობილ გამონათქვამს და მისივე წიგნის სათაურს დავესესხებით – „მასების ფსიქოპათოლოგიაზე“ ჩვენი წარმოდგენები კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა: პირველ რიგში, ამ ომმა „ნერვების ომით“ დაგვასაჩუქრა და მეორეც, მოგვანოდა მასალა საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეთა ადამიანურ განცდებზე.

მინდა, შევნიშნო, რომ თავიდან ამ წიგნის საკუთარი სახელით გამოცემას არ ვაპირებდი, ვფიქრობდი, მხოლოდ ბანაკის ნომერი მიმეთითებინა. მიზეზი ის ანტიპათია იყო, რომელსაც ჩემში განცდილზე საჯაროდ ლაპარაკი, ერთგვარი ექსპიზიციონიზმი იწვევდა. წიგნი უკვე მზად იყო გამოსაცემად, როცა დამარწმუნეს, რომ ანონიმურობა პუბლიკაციას გააუფასურებდა, ავტორის ღიად დასახელება კი მის შემეცნებით მნიშვნელობას გაზრდიდა. ამიტომ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ანონიმურობაზე უარი ვთქვი; ასე რომ, ექსპიზიციონიზმის შიში აღიარების გაბედულებამ გადაწონა.

პირველი ფაზა: ბანაკში ჩასვლა

თუ საკუთარი და სხვათა დაკვირვებების საფუძველზე დაგროვილი მასალის, საკონცენტრაციო ბანაკებში მიღებული გამოცდილებისა და განცდების გარკვეულ სისტემაში მოქცევას შევეცდებით, მაშინ ტყვის ფსიქოლოგიურ რეაქციებში სამი ფაზა უნდა გამოვყოთ: ბანაკში ჩასვლის ფაზა, ბანაკში ცხოვრების ფაზა და ბანაკიდან გათავისუფლების ფაზა.

აუშვიცის სადგური

პირველი ფაზა, შეგვეძლო, დაგვეხასიათებინა, როგორც „ჩამოსვლის შოკი“, თუმცა საკონცენტრაციო ბანაკის ფსიქოლოგიური შოკური ზემოქმედება, შეიძლება, წინ უსწრებდეს მასში მოხვედრას. რა ხდებოდა იმ ეშელონში, რომლითაც აუშვიცში ჩავედი? წარმოიდგინეთ: 1500 ადამიანი სავესტე მატარებელი დღეების მანძილზე გზაშია. თითოეულ ვაგონში 80 ადამიანი ზის ან წევს საკუთარ ბარგზე (ეს მათი ქონების ნარჩენებია). ერთმანეთზე ახორხლილი ზურგჩანთები, ჩანთები და ა. შ. ნახევრად ფარავს ვაგონის ფანჯრებს, საიდანაც გარიჟრაჟის სუსტი შუქი აღწევს.

ყველა ფიქრობს, რომ ეშელონს რომელიღაც სამხედრო სანარმო-ში მივყავართ, სადაც იძულებით სამუშაოებზე უნდა გაგვამწესონ. მატარებელი სადღაც ჩერდება; ვერავინ ხვდება, სად ვართ, ჯერ კიდევ სილეზიაში თუ უკვე პოლონეთში. ლოკომოტივის ყურთას-მენის ნამღები სტვენა შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მატარებელი იმ დიდი უბედურების პერსონიფიკაციაა, რომელიც შიგ მყოფთ თავს უნდა დაატყდეთ და შველას თხოულობენ, მატარებელი კი ამასობაში, როგორც ჩანს, დიდ სადგურს უახლოვდება. უცბად ვაგონში შეშინებული ბრბოდან შეძახილი ისმის: „ნახეთ, აქ წარწერაა – აუშვიცი!“ . იმნუთას, ალბათ, ყველა გრძნობს, როგორ უჩერდება გული. აუშვიცი ხომ გაზის კამერებზე, კრემატორიუმებსა და მასობრივ მკვლევლობებზე გაურკვეველ და, ამდენად, შემზარავ წარმოდგენებს უკავშირდება! მატარებელი ნელა მიდის, გაუბედავად, თითქოს ეს უბედური ადამიანები თანდათან და შემპარავად უნდა დააყენოს ფაქტის წინაშე: „აუშვიცი!“ . ახლა უკვე მეტი მოჩანს. დღის სინათლე მატულობს და მარჯვნივ და მარცხნივ კილომეტრებზე გადაჭიმული უზარმაზარი ბანაკის კონტურები იკვეთება. უსასრულო მავთულხლართები, საგუშაგო კომპკები, პროექტორები და ჩამოკონკილი, ძონძებში გახვეული ადამიანების კოლონები, ნაცრისფერი ფიგურები დილის ნაცრისფერ შუქზე, ლარივით გაჭიმულ გზაზე დაღლილი ადამიანები, რომლებიც ძლივს მილასლასებენ – არავინ იცის, საით. აქა-იქ ბრძანების ნიშნად სასტვენის ხმა ისმის – გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს. ზოგ ჩვენგანს უკვე სახეზე შიში აღბეჭდვია. მე, მაგალითად, მომეჩვენა, რომ სახრჩობელები და ზედ დაკიდებული ადამიანები დავინახე. შიშმა ამიტანა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ყოველი წუთი და ყოველი ნაბიჯი ამ დიდ კომმარს გვაახლოებს. ბოლოს მატარებელი სადგურში შედის. განძრევას ვერავინ ბედავს. და აი, გარეთ ბრძანება ისმის, უხეში, ჩახლეჩილი ხმა, ხმა რომელსაც ამიერიდან ყველა საკონცენტრაციო ბანაკში გავიგებთ და რომელიც იმ ადამიანის ყვირილს ჰგავს, ამნუთას რომ კლავენ, მაგრამ მაინც სხვა-

ნაირია: ხორხიდან ამომავალი ჩახლეჩილი ხმა კაცისა, რომელმაც სულ ასე უნდა იყვიროს, რადგან დაუსრულებლად კლავენ.

ვაგონის კარებს უხეშად ალებენ და უცებ ბანაკის ზოლებიან ფორმებში გამოწყობილი, თავგადაპარსული, კარგად ნაკვები ტყვეები შემოცვივდებიან; ისინი ყველა ევროპულ ენაზე ლაპარაკობენ, თან ისე ხალისიანად, რომ იმ მომენტში და იმ სიტუაციაში ეს რალაცნაირად გროტესკულად ჟღერს. ამ ფაქტს ისე ჩავეჭიდდე, როგორც დასახრჩობად განწირული ხავსს. ურყევი ოპტიმიზმი, რომელიც იმ პერიოდიდან მოყოლებული ყველაზე რთულ მდგომარეობაში მეუფლება ხოლმე, მკარნახობს: არც ისე ცუდად გამოიყურებიან, ცუდ ხასიათზეც არ ჩანან, იცინიან კიდევ; ვითომ მე რატომ არ უნდა აღმოვჩნდე ამ ტყვეებივით არათუ ხელსაყრელ, არამედ კარგ მდგომარეობაშიც კი? ფსიქიატრიაში ცნობილია ეგრეთ წოდებული შეწყალების ბოღვა: სიკვდილმისჯილი ბოლო ნუთს, უშუალოდ სასჯელის აღსრულების წინ, თავს აჯერებს, რომ სწორედ ამ ბოლო მომენტში შეინყალებენ. ჩვენც ასე ვებლაუჭებოდით ამ იმედს და ბოლო ნუთამდე გვჯეროდა, რომ ყველაფერი არც ისე ცუდად იყო. შეხედე ამ ტყვეების ლაჟღახა ლოყებს! ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ეს ის „ელიტა“ იყო, საგანგებოდ შერჩეული ტყვეების ის ჯგუფი, რომლებიც ეშელონებს უნდა დახვედროდნენ; ათასობით ასეთი ეშელონი კი აუშვიცის სადგურში წლების მანძილზე ყოველდღიურად შედიოდა. ტყვეებს ახალმოსულებისთვის ბარგი და მთელი ძვირფასეულობა უნდა ჩამოერთმიათ: ნივთები, რომლებიც უკვე იშვიათობას წარმოადგენდა და გადამალული სამკაულები. ამ დროისთვის აუშვიცი ომისდროინდელი ევროპის თავისებურ ცენტრად გადაქცეულიყო: ყველაფერმა, რაც აუშვიცში ჩასულ ტყვეებს ჰქონდათ: ოქრო, ვერცხლი, პლატინა და ბრილიანტი, დიდ მაღაზიებში, ესესელებისა და ამ საგანგებო ჯგუფის წევრების ხელში მოიყარა თავი. იმ დროს, როცა პატარა ბანაკში გადაგზავნამდე 1100 ტყვე, ვფიქრობ, მაქსიმუმ 200 ადამიანისთვის განკუთვნილ ბარაკში გათოშილი და მშიერი, შიშველ მიწაზე იჯდა ან იდგა,

რადგან არათუ დასაწოლ, არამედ დასაჯდომ ადგილსაც კი ვერ მონახავდით, იმ დროს, როცა ოთხი დღის მანძილზე ერთადერთხელ დაგვირიგეს თითო ნაჭერი პური (დაახლოებით 150 გრამი), მესმოდა, როგორ ევაჭრებოდა ბარაკის მამასახლისი ერთ ტყვეს იმ ელიტური ჯგუფიდან ჰალსტუხის პლატინის ქინძისთავზე, რომელიც ბრილიანტებით იყო განწყობილი. ბოლოს, ძვირფასეულობის უმრავლესობა, რა თქმა უნდა, სასმელში გადაიცვალა. ბუნებრივია, აღარ მახსოვს, იმ მხიარულ საღამოს რამდენი ათასი მარკა დაიხარჯა სასმელში. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: ტყვეებს, რომლებიც უკვე წლებია, ბანაკში იყვნენ, ალკოჰოლი სჭირდებოდათ. ან რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში ვინმეს დათრობა მოუნდეს! ალკოჰოლი განსაკუთრებით იმ ტყვეებს სჭირდებოდათ, რომლებსაც გაზის კამერებსა და კრემატორიუმებში ჯალათების დამხმარეებად ამუშავებდნენ, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ მათი ჯერიც დადგებოდა, მათ სხვები შეცვლიდნენ და ერთ დღესაც მსხვერპლის გზას გაუყვებოდნენ; ასეთ ჯგუფებს დიდი რაოდენობით ალკოჰოლით თავად ესესელებიც ამარაგებდნენ.

პირველი სელექცია

ჩვენს ეშელონში ყველა, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, „შენყალების ბოძვით“ იყო შეპყრობილი და იმედი ჰქონდათ, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა, რადგან მომხდარის აზრს ვერ ვხვდებოდით; ეს აზრი კი საღამოსლა გახდა გასაგები. გვიბრძანეს, ვაგონებიდან გადმოვსულიყავით, ბარგი იქ დაგვეტოვებინა, ქალები და კაცები ცალ-ცალკე კოლონებად დაწყობილიყავით და ეს-ესის უფროსი ოფიცრის წინაშე ჩაგვევლო. უცნაურია, მაგრამ მეყო გამბედაობა, თან წამელო პურის ტომარა, პალტოში დამალული. და აი,